საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-253

17/04/2018

ქ. თბილისი

შპს ,,ლაზუ-ჯგუფი''-ს ქ.ბოლნისის მუნიციპალიტეტის, სოფ. ხატისოფლის ტერიტორიაზე რეზინტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის (ნარჩენების აღდგენა) პროექტის სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს ,,ლაზუ-ჯგუფი"-ს მიერ გზშ-ს ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში წარმოდგენილია რეზინტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის (ნარჩენების აღდგენა) პროექტის სკრინინგის განცხადება.

საქმიანობის განხორციელება დაგეგმილია ბოლნისი მუნიციპალიტეტში, სოფელ ხატისოფელში, სოფ. ვანათის მიმდებარე ტერიტორიაზე. საწარმოს კუთვნილი ტერიტორიის ფართობია 4400კვ.მ. დანადგარის განთავსება დაგეგმილია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე, ფართობით 497კვ.მ (ს.კ.80.05.65.489).

ტერიტორიას ჩრდილო-აღმოსავლეთით ესაზღვრება სოფელი სამტრედო (2 კმ), ჩრდილო-დასავლეთით ქალაქი ბოლნისი(6 კმ), ხოლო სამხრეთით სოფელი ვანათი(700 მ). აღმოსავლეთ და დასავლეთით განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწები.

საწარმოში დაგეგმილია ჩინური წარმოების დანადგარის(LN-2800*6600, მწარმოებელი ZHENGZHOU SINOWATT MACHINERY CO.,LTD) გამოყენება. აღნიშნულ დანადგარზე რეზინო-ტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის გადამუშავების პროცესის სრული ციკლის დამთავრებისათვის საჭიროა დაახლოებით 23 საათი. სამუშაო დღეების რაოდენობა წელიწადში 240 დღ/წელ.

რეზინტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის ნარჩენების (საბურავები, სხვადასხვა წარმოშობის გაუვარგისებული რეზინი, პოლიმერული და პლასტმასის ნაწარმი) გადამუშავება ხდება დაბალტემპერატურული პიროლიზის მეთოდით. რეზინტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის ნარჩენების დაბალტემპერატურული პიროლიზის შედეგად მიღებული პიროლიზის თხევადი პროდუქტების კომპაუნდირებისა და სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შემდეგ, საღუმელე საწვავი ან ფ-5 და მფ-12 მარკის მაზუთი შეგროვდება შესაბამის მზა პროდუქციის საცავებში, ხოლო მიღებული კოქსი, ტექნიკური ნახშირბადი და ლითონის ჯართი დასაწყობდება შესაბამის საწყობებში.

საპროექტო წარმადობა იქნება საღუმელე საწვავი 1620ტ/წ, კოქსი1260ტ/წ, ტექნიკური ნახშირბადი 280ტ/წ, ლითონის ჯართი 432ტ/წ. ნედლეულის სახეობა და

ხარჯი: რეზინო-ტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის ნარჩენი 3600ტ/წ. გამოყენებული საწვავის სახეობა და ხარჯი (სატრანსპორტო საშუალებების მიერ გამოყენებულის გარდა): ბუნებრივი აირი 72000მ^3/წ, პიროლიზური აირი 273000მ^3/წ.

ვინაიდან, დაგეგმილი საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არ არის არანაირი საწარმო, შესაბამისად კუმულაციური ზემოქმედება არ არის მოსალოდნელი.

საქმიანობის განხორციელებისას მოსალოდნელი იქნება ზემოქმედება მიწის ნაყოფიერ ფენაზე. ნახშირწყალბადების ორთქლის კონდენსირებისათვის გამოყენებული წყლის მომარაგება ხორციელდება საწარმოს ტერიტორიაზე არსებული საწარმოს მიერ მოწყობილი გუბურიდან, რომელშიც მოხდება გამოყენებული წყლის ჩადინება. მისი გადავსების შემთხვევაში წყალჩაშვება მოხდება მიმდებარედ არსებულ სარწყავ არხში.

მოწყობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე მოსალოდნელია ნარჩენების წარმოქმნა. გარემოზე უარყოფითი ზემოქმედება ძირითადად გამოწვეული იქნება ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევით, რომელიც წარმოიქმნება საწარმოს ფუნქციონირების პროცესში.

ავარიული სიტუაციების და კატასტროფების რისკი არ არის მოსალოდნელი. საქმიანობა არ არის დაგეგმილი ჭარბტენიან ტერიტორიასთან, შავი ზღვის სანაპირო ზოლთან, ტყით მჭიდროდ და დაფარულ ტერიტორიასთან, სახელმწიფო ტყის ფონდსა და დაცულ ტერიტორიებზე. ვიზუალური შეფასებით საპროექტო ტერიტორიაზე არ ფიქსირდება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლი. ტრანსასზღვრო ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

<u>ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსი“-ს მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის, ამავე კოდექსის II დანართის 10 პუნქტის 10.3 ქვეპუნქტის და ასევე „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე" (07.12.2017 №1620-რს) საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე</u>

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, შპს ,,ლაზუ-ჯგუფი''-ს ბოლნისის მუნიციპალიტეტი, სოფ. ხატისოფლის ტერიტორიაზე რეზინტექნიკური და პოლიმერული ნაწარმის, ნარჩენების გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობის (ნარჩენების აღდგენა) პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასებისადმი დაქვემდებარების შესახებ.
2. შპს ,,ლაზუ-ჯგუფი'' ვალდებულია უზრუნველყოს საქართველოს კანონის ,,გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის'' მე-8 მუხლით დადგენილი სკოპინგის პროცედურის გავლა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ლაზუ-ჯგუფს'';
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ლაზუ-ჯგუფი''-ის მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;

5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკრინინგის გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და ქ. ბოლნისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოსა და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში- საქართველოს მთავრობაში (თბილისი, ინგოროყვას ქუჩა N7) ან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი